



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც მართავს კოლეგიალური ორგანო. მ. არის როგორც თვითმმართველი ქალაქი (დასახლება), ისე თვითმმართველი თემი (დასახლებათა ერთობლიობა). ის შეიძლება დაიყოს ადმინ. ერთეულებად, აქვს ადმინ. საზღვრები და ადმინ. ცენტრი, აგრეთვე არჩევითი – წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი – ორგანოები, საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსავლები.

მ. საჯარო სამართლის იურიდ. პირია. მის რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტო.

მ-ს აქვს გერბი და დროშა, შესაძლებელია ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც. მის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, სამართლებრივი, საფინანსო-ეკონ. და ორგანიზაციული პირობების შექმნას უზრუნველყოფს სახელმწიფო. **მ**-ს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. სახელმწიფომ ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ **მ**-ს შეიძლება გადასცეს ის უფლებამოსილებები, რ-თა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

მ-ების შესახებ ზოგადი მონაცემების ერთიანი აღნუსხვის მიზნით იქმნება მათი რეესტრი. საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტოს **მ**-ების რეესტრის მონაცემებით, საქართველოში დღეისათვის (14. II. 2025) რეგისტრირებულია 69 მ.

ი. უკმაჯურიძე
